პრიორიტეტები და პრობლემები დისტანციურ სწავლებაში

ნინო გელენიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino.gelenidze@atsu.edu.ge

DOI: https://doi.org/10.52340/lac.2022.961

მუდმივად ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს XX საუკუნე მთელ საზოგადოებას, განსაკუთრებით განათლების სისტემას. იგი მეტ შესაძლებლობებს სთავაზობს პედაგოგებს, მშობლებს, მოსწავლეებს, ზოგადად საგანმანათლებლო სივრცეს ახალი ტექნოლოგიების მასშტაბურად დასანერგავად. სტატიაში განხილული და დასაბუთებულია, რომ ციფრული ტექნოლოგიები მედიის მოხმარების მედიატორი მოწყობილობებია და რომ მათ დანერგვას პრაქტიკაში საქართველო წარმატებით ართმევს თავს.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური სწავლება, პრიორიტეტები სწავლებაში

ციფრული ტექნოლოგიების ეპოქამ რადიკალურად შეცვალა ჩვენი ყოფა. ინტერნეტის შექმნამ, მუდმივმა ტექნოლოგიურმა სიახლეებმა საშუალება მოგვცა უკეთესი მომავლი-საკენ სწრაფი სვლისათვის. შესაბამისად ახალი გამოწვევების წინაშე დადგა განათლების სისტემა მთლიანად: სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი.

უკანასკნელი ორი წელი covid-19-ის ეპიდემიის გამო გარკვეული გამოცდა შეიქნა მთელი მსოფლიოსათვის და ჩვენი ქვეყნისათვისაც. განსაკუთრებით შთამბეჭდავად შეეხო საგანმანათლებლო სივრცეს. თუმცა სწორედ ახალი ტექნოლოგიების ძიებისა და დანერგვის პროცესმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეპიდემიით გამოწვეული სირთულეების დაძლევას და ეს იყო დისტანციური სწავლება, რომლის ელემენტებთანაც ჩვენი განათლების სისტემა უკვე ადაპტირებული იყო.

განათლების ერთ-ერთი საუკეთესო მიგნებაა დისტანციური სწავლების მეთოდი. დისტანციური სწავლება თავიდანვე დაფუძნებული იყო იმ პირობით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სწავლა არა ტრადიციულ საკლასო ოთახსა და აუდიტორიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. როგორც ვიცით, ეს მეთოდი რეკლამირებული იყო პირველად 1728 წელს. ხოლო პირველი დისტანციური კურსი

თანამედროვე გაგებით ჩატარდა ისააკ პიტმანის მიერ 1840 წელს საფოსტო სისტემის გამოყენების დახმარებით. ასევე ცოტა მოგვიანებით ლონდონის უნივერსიტეტმა განახორციელა დისტანციური სწავლება პირველად 1858 წელს. როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მოყოლებული ფიქრობდა განმანათლებელი საზოგადოება იმაზე, თუ როგორ უნდა მიეცა განათლების მიღების საშუალება დანარჩენი საზოგადოების წევრებისათვის.

საინტერესოა, განვიხილოთ დისტანციური სწავლების დადებითი მხარეები, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ გავიაზროთ მისი ღირებულება. დადებითი მხარეებია: 1. ხელმისაწვდომობა; 2. დროისა და ადგილმდებარეობის განუსაზღვრელობა; 3. სწავლის ღირებულება; 4. არჩევანის თავისუფლება.

1. დღესდღეობით ინტერნეტი და თანამედროვე ტექნოლოგიები ჩვენი ცხოვრების განუყრელი ნაწილია, რომლის გარეშეც შეუძლებელია ნებისმიერი საქმის მოგვარება, რადგან მასზე ძალიან დამოკიდებული გავხდით. ადრე თუ საკმარისი იყო სწავლის ერთხელ „მიღება", ამჟამად აუცილებელია მუდმივად ცოდნის განახლება, რადგან XXI საუკუნე მოდუნების საშუალებას არ აძლევს საზოგადოებას. სწორედ ამიტომ გვესაჭიროება უწყვეტი განათლების მიღების საშუალებები, რაც დაგვეხმარება ყოველთვის ინფორმირებულები ვიყოთ და მეტად გავიღრმავოთ ცოდნა. ამისათვის კი შესანიშნავია დისტანციურ სწავლებაში ჩართვა. დისტანციურ სწავლებას ტრადიციული სწავლებისაგან ის განასხვავებს, რომ მისი ხელმისაწვდომობა ბევრად მაღალია მასთან შედარებით. ორგანიზებული თვალსაზრისით, სწავლის ასეთი ფორმა ბევრად უფრო მარტივი და მოსახერხებელია, რადგან მასზე წვდომა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია.

2. დისტანციური სწავლება არის საგანმანათლებლო ვარიანტი, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებსა და სტუდენტებს მიიღონ საჭირო განათლება ტექნოლოგიების გამოყენებით, შორ მანძილზეც კი. ამ მეთოდის დახმარებით შეიძლება გადაიჭრას ბევრი პრობლემა და ყველა ადამიანს თანაბრად მიეცეს სწავლის შანსი. არის შემთხვევები, როდ-ესაც გარკვეული მიზეზით მოსწავლეები ვერ ახერხებენ სკოლაში სიარულს, რაც ძალიან ცუდია. იმისათვის რომ მსგავსი პრობლემების გამო, მათ ხელი არ შეეშალოთ სწავლაში, ნამდვილად მისასალმებელია და მისაღებია დისტანციური სწავლების მეთოდი.

3. როგორც ზემოთ ვახსენეთ, განათლება ყველაზე მეტი პრიორიტეტულია და მნიმშვნელოვანი ადამიანებში. მსოფლიოში ყველა ქვეყანა უამრავ ძალისხმევას, ენერგიასა და თანხას ხარჯავს საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობისათვის, რაც გულისხმობს ამავდროულად ქვეყნის კეთილდღეობასა და წინსვლას.

4. დისტანციური სწავლების მოდელის შექმნამ უამრავი ადამიანის პრობლემა გადაჭრა, ვისაც სწავლა-განათლების მიღება სურდა და ვერ ახერხებდა გარკვეული საფასურის ან შეზღუდული უნარების გამო. ეს არის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინტერნეტ რესურსების გამოყენებით მიღებული უდიდესი მიღწევა, რომელიც დედამიწის თითოეულ მცხოვრებ ადამიანზეა განთვლილი და მათ კეთილდღეობას ემსახურება. მისი დახმარებით, შესაძლებელია, აირჩიო და ისწავლო ის საგნები თუ პროფესია, რაც შენს ინტერესებში შედის. ასევე შეგიძლია შენი საჭიროებისამებრ ისწავლო, საკუთარი განვითარებისა და ზრდის მიზნით. არჩევანის თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანია სწავლის პროცესში, რადგან არ გიწევს ისეთი საგნების ათვისება და შესწავლა, რაც გამოუსადეგარია ან შორსაა შენი შესაძლებლობებისაგან.

როგორც ცნობილია, საქართველო ელექტრონულ სწავლებაში 2008 წლიდან ჩაერთო და აქტიურად მიიღო მონაწილეობა პროექტში „ელექტრონული სწავლება კავკასიაში". არსებული პროექტის ფარგლებში საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, 20-ზე მეტ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაიმართა ელექტრონული სწავლების პირველი კურსები, რაც იყო პირველი გადადგმული ნაბიჯები ამ კუთხით. უშუალოდ კანონმდებლობით თუ ვიმსჯელებთ, 2011 წელს შევიდა ძალაში აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით პროექტი, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა პლენარულ სხდომაზე, რომლის თანახმადაც საქართველოს მოქალაქეებს შეეძლოთ უმაღლესი განათლების პირველი და მეორე კურსი გაევლოთ ელექტრონულად. ამ ყველაფრის გამოყენებას კი სტუდენტები ტრადიციული სწავლის პარალელურად შეძლებდნენ.

2010 წლიდან ამოქმედდა პროექტი, რაც გულისხმობდა პირველკლასელებისთვის საჩუქრად გადაეცათ მინი ნეთბუქები, რაც შექმნილი იყო გაეროს ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე. რა თქმა უნდა, ნეთბუქების შეტანა სკოლაში არ გულისხმობდა ტრადიციული სწავლების მეთოდების ამოღებას. პირიქით, ის უნდა ყოფილიყო დამატებითი წყარო სწავლაში, რომლის დახმარებით პატარებს უფრო გაუადვილდებოდათ სწავლა-განათლება. ნეთბუქები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ მოსწავლეებისათვის, ვისაც საშუალება არ აქვს შეიძინოს სახელმძღვანელოები. მათში ჩატვირთულია ყველა ის მასალა და სახელმძღვანელო, რაც სწავლისთვის ესაჭიროებათ ბავშვებს.

ასევე 2010 წელს დაიწყო მნიშვნელოვანი ძვრები სოციალური მედიის განვითარების კუთხით. 2010 წელს ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ PH international-მა დაიწყო საქართველოს სამართლებრივი განათლების პროგრამის ფარგლებში, ახალი პროექტის „სოციალური მედია სკოლაში" განხორციელება.

ეტაპობრივად ჩატარდა ტრენინგები მომდევნო წლებშიც სხვადასხვა ქალაქებსა თუ რეგიონებში. ინფორმაციის გავრცელება ამ კუთხით მეტად საინტერესო და ინოვაციური აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის. ისინი დიდი ენთუზიაზმითა და ხალისით შეხვდნენ სიახლეებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 2020 წელი, რომელმაც ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში დიდი გადატრიალება მოახდინა. 2020 წელი არც თუ ისე სასიამოვნოდ დაიწყო თითოეული ჩვენგანისთვის. პანდემიით გამოწვეულმა პრობლემებმა შექმნა ქაოსი და გამოიწვია ადამიანთა შეშფოთება. მოულოდნელმა ეპიდაფეთქებამ დიდი დარტყმა მიაყენა მთელ მსოფლიოს, რამაც უდიდესი ეკონომიკური ზარალი გამოიწვია.

წინა საუკუნეებში არსებული ეპიდემიებისაგან განსხვავებით covid19-მა სრულიად სამყარო შეაზანზარა და ყველაზე ფართომასშტაბიანობით გამოირჩეოდა. მისი გავრცელებიდან 2 თვეში მთლიანად დედამიწა „გაჩერდა". დაავადების პრევენციის მიზნით ჩაიკეტა საზღვრები, მოხდა შეზღუდვების დაწესება და მილიარდობით ადამიანის სახლში იძულებით გამოკეტვა. გაჩერდა სამსახურები და ყველა მნიშვნელოვანი დაწესებულებები, მათ შორის საგანმანათლებლო ინსტიტუტებიც. შეიზღუდა გადაადგილება და მოძრაობა, გარდა საარსებო საშუალებების შემოტანისა.

მიუხედავად დიდი საფრთხეებისა, ჩვენ მაინც მოვნახეთ გამოსავალი, ერთმანეთთან კომუნიკაციისა და კავშირის დასამყარებლად. ტრადიციული და სოციალური მედიის დახმარებით მოვახერხეთ წვდომა გვქონოდა საინფორმაციო საშუალებებთან, რამაც ხელი შეუწყო არ ჩამოვრჩენილიყავით როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. ყველაფერს თვალს ვადევნებდით ინტერნეტისა და სოციალური ქსელების დახმარებით.

არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ყველა ქვეყანამ მიიღო საჭირო ზომები, რათა არ მომხდარიყო მნიშვნელოვანი პროცესების შეჩერება ქვეყანაში, როგორიცაა განათლება. ამ მხრივ საქართველოს განათლების სამინისტრომ მყისიერი რეაგირება მოახდინა და მთლიანად დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. სასწავლო დაწესებულე-ბებმა იზრუნეს, რომ სასწავლო წელი არ ჩავარდნილიყო და აკადემიურ წლად არ გამოცხადებულიყო. დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა ბევრი ქვეყანა.

საქართველოს მთავრობამ და განათლების სამინისტრომ სწრაფი და დროული რეაგირების წყალობით მოახერხა, რომ ეს კრიზისული პერიოდი იოლ ფორმაში გადაგველახა და სწავლა არ შეჩერებულიყო.

2020 წელმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ტექნოლოგიური თვალსაზრისით და კიდევ ერთხელ დაგვანახა ადამიანებს, თუ რაოდენ საჭიროა მათი გამოყენება და დანერგვა ნებისიმიერ სფეროში, განსაკუთრებით კი განათლებაში. ამაზე მიგვანიშნებს ახალი საგანმანათლებლო პროექტი „ახალი სკოლის მოდელი" და „ტელესკოლა", რომელიც დიდი წარმატებით სარგებლობს დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, განათლების მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს გაეროს ბავშვთა დაცვის UNICEF-ისა და განათლების კოალიციას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმადაც შემუშავდა ახალი გეგმა, რათა გავმკლავებოდით არსებულ სიტუაციას და ჩვენს სასარგებლოდ გამოგვეყენებინა ტექნოლოგიური რესურსები.

მოცემული პროექტის მიზანია, კიდევ უფრო ფართო მასშტაბით მოვახდინოთ სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და სიახლეების დანერგვა სასწავლო პროცესში. აღნიშნულმა პროექტმა დიდი მოწონება დაიმსახურა და დაგვანახა მისი სარგებელი ყოველი კუთხით. „ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში შეიქმნა I-XII კლასების ჩათვლით, მათი ორგანიზებული სწავლისათვის კომპლექსური საშინაო დავალებების კრებულები ყველა საგანში, რომლებიც განთავსდა ელექტრულ ბიბლიოთეკაზე (https://www.el.ge/). მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა დისტანციურ რეჟიმში მოიძიონ საჭირო სასწავლო რესურსები და ინფორმაცია სხვადასხვა საგანთან დაკავშირებით და შეასრულონ დავალებები. აღნიშნული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია ასევე მასწავლებლებისათვის.

მოცემულ პროექტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს უკეთესი მომავლის შექმნისა და წინსვლის კუთხით. მისი პრიორიტეტია შექმნას ისეთი საგანმანათლებლო გარემო, რაც ორიენტირებული იქნება მოსწავლეზე და მისცემს იმ საჭირო უნარ-ჩვევებს, რაც XXI საუკუნის გამოწვევებისთვის მოამზადებს მას და საშუალება ექნება, იყოს საზოგადოების სრულფასოვანი და ღირსეული წევრი.

ასევე საქართველოს განათლების, სპორტისა და კულტურის სამინისტრომ შეიმუშავა გეგმა იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ვერ ერთვებოდნენ დისტანციურ სწავლებაში საჭირო ტექნოლოგიური თუ სხვა რესურსების არარსებობის გამო. აღნიშნული პროექტი საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობის წყალობით დაიწყო 2020 წლის 30 მარტს, რომელმაც საშუალება მისცა ყველა მოსწავლეს ნებისმიერი ადგილიდან ჩართულიყვნენ საგაკვეთილო პროცესში და მიეღოთ ცოდნა ნებისმიერ საგანში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთა-შორისო ორგანიზაციამ (OECD) გამოაქვეყნა 2020 წლის ანგარიში, რომელიც

მიმართუ-ლია 2020 წელს განათლების სფეროში პანდემიით გამოწვეული პრობლემების დასაძლევად. სადაც საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული და გადადგმული ნაბიჯები უწყვეტი განათლების პროცესის უზრუნველსაყოფად დასახელდა ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და დისტანციური სწავლების გამოწვევები მთელი სიმძაფრით იჩენენ თავს და ჩვენს სკოლას სახელმწიფოებრივი ზრუნვის მთავარ პლაცდარმად აქცევენ, რადგან სწორედ სკოლაში წყდება მომავლის საქართველოს ბედი.

Nino Gelenidze
Akaki Tsereteli State University

Priorities and challenges in distance education

Abstract

The 20th century constantly confronts new challenges for the entire society, especially for the education system. It offers teachers, parents, students, and the educational space as whole more opportunities for large-scale adoption of new technologies.

The article discusses and substantiates that digital technologies are mediator tools for media consumption and that Georgia is successfully implementing them in practice.

Key words: online teaching, priorities in distance education

რეცენზენტი: პროფესორი ლ.ეკბეშეევა